საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავსაძე ვლადიმერ (ლადო) ლონგინოზის ძე

კავსაძე ვლადიმერ (ლადო) ლონგინოზის ძე (7. I. 1886, სოფ. ხოვლე, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 30. XII. 1953, თბილისი), მომღერალი (ლირიკული ტენორი). საქართვ. სახ. არტისტი (1943). სიმღერას სწავლობდა თბილისში ე. ბორჯისთან. ერთხანს მღეროდა ა. გ. კავსაძის გუნდში. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო მოსკოვში 1908. 1917-მდე მუშაობდა მოსკოვის, ორენბურგის, პეტერბურგის, სმოლენსკისა და სხვ. ქალაქების ოპერეტის თეატრებში. კ. თბილ. მუს. კომედიის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელიცაა. 1921-იდან მღეროდა თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. წარმატებით შეასრულა პარტიები: აბესალომი (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი"), შოთა რუსთაველი (დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე"), კოტე, საქო (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე"), ლენსკი (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი"), ალფრედი (ჯ. ვერდის „ტრავიატა") და სხვ. კ-ს ჰქონდა ლამაზი ტემბრის ხმა და მაღალი სასცენო კულტურა. განსაკუთრებული წარმატებით ასრულებდა კომიკურ როლებს. გადაღებულია კინოფილმებში: „ქარიშხლის წინ" (ყარაჩოხელი გიჟუა, რეჟ. კ. მარჯანიშვილი; 1924); „ხანუმა" (ლევან ფანტიაშვილი, რეჟ. ა. წუწუნავა; 1926) და სხვ. კ. თავისი დროის თვალსაჩინო სპორტსმენიც იყო.